

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წ.
31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ევროფუდი” შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 92. შპს “ევროფუდი” ძირითადი საქმიანობაა საქონლით ვაჭრობას/რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია „ქვეყნის ფულად ერთეულებში (ფე).“

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით. ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის საგადასახდო მოგებას, აღიარდება გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს საგადასახადო მოგებას, ასევე ყველა გამოუყენებელ საგადასახადო ზარალთან, ან გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტთან მიმართებით. გადავადებული საგადასახადო აქტივების შეფასება ხდება მაქსიმალური შესაძლო თანხით, რომლის აღდგენაც უფრო მოსალოდნელია, ვიდრე არა, მიმდინარე საგადასახადო მოგებისა, თუ შეფასებული მომავალი საგადასახდო მოგების საფუძველზე.

დირექტორი:



გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის და მისი კორექტირება ხდება მომავალი საგადასახადო მოგების მიმდინარე შეფასების ასახვის მიზნით. ნებისმიერი კორექტირების თანხა აღიარდება მოგებაში, ან ზარალში. გადავადებული გადასახადი გაიანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც, სავარაუდოდ, გავრცელდება იმ პერიოდების საგადასახადო მოგებაზე (საგადასახადო ზარალზე), როდესაც საწარმო მოელის გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებას, ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვას და უკვე ძალაში შესულია, ან არსებობდა ძალაში შესულია საანგარიშგებო თარიღისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 10-30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე

ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დირექტორი:



ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის

პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“

(„ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალ აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

4. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

5. ამონაგები

	2018 წ	2017წ
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	3,999,595	3,140,162
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	200,642	118,074
ამონაგები	4,200,237	3,258,236

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2018 წ	2017წ
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	3,244,780	2,547,730

7. ადმინისტრაციული ხარჯები

	2018 წ	2017წ
--	--------	-------

დირექტორი:



შრომის ანაზღაურება	469063	378291
საიტარო ქირა	241602	196837
სხვა მარაგების ხარჯი	27266	7130
კომუნალური ხარჯები	67494	48899
კომუნიკაციის ხარჯები	2505	2044
ადმინისტრაციული ხარჯები	32760	38636
რეკლამის ხარჯები	643	2119
ბანკის საკომისიო	2369	2901
წარმომადგენლობითი ხარჯი	903	0
სხვა საერთო ხარჯები	31435	67538
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	876040	744395

8. არასაოპერაციო შემოსავალი

2018 წ	2017 წ

სულ არასაოპერაციო შემოსავალი	27	964
------------------------------	----	-----

9. არასაოპერაციო ხარჯი

2018 წ	2017 წ

საპროცენტო ხარჯი	12613	15310
არასაოპერაციო ხარჯი/ზარალი	784	1274
სულ არასაოპერაციო ხარჯები	13397	16584

10. მოგება/ზარალი

2018 წ	2017 წ

საანგარიშო პერიოდის მოგება /ზარალი	66046	-49508
წინა საანგარიშო პერიოდის დაუფარავი ზარალი	- 74581	-25073
მოგება/ზარალი საანგარიშო წლის ბოლოსათვის	-8534	-74581

დირექტორი:



11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დებიტორული დავალიანება

2018 წ	2017 წ
--------	--------

34,678 73,909

12. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

გასაყიდად განკუთვნილი სასაქონლო-მატერიალური

მარაგები საანგარიშო წლის ბოლოსათვის

408,773 386,931

შიდა მოხმარებისათვის განკუთვნილი მარაგები

705 705

სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

409478 38763

მანქანა
დანადგარე
ბი და სხვა
მოწყობილ
ობა

13 ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება

1 იანვარი 2018 წ

181940

შემოსვლა

4473

31 დეკემბერი 2018 წ

186413

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება

გაუფასურება

0

წლიური ცვეთა

30008

(ჩართულია ადმინისტრაციულ ხარჯებში)

საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2018 წ

156405

დირექტორი:



14. არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა:

თვითღირებულება

1 იანვარი 2018წ

10,422

შემოსვლა

0

გასვლა

0

31 დეკემბერი 2018წ

10,422

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება

წლიური ამორტიზაცია

2501

(ჩართულია ადმინისტრაციულ ხარჯებში*)

საბალანსო ღირებულება

7,921

2018 წ	2017 წ

15. ჩვეულებრივი იჯარა

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული

საიჯარო გადასახდელები, რომლებიც

მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად

241,602 196837

2018 წ	2017 წ

16. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულადი სახსრები სალაროში

13395 11594

ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე

60050 17571

ფულადი სახსრების ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოს

73445 29165

დირექტორი:



მოგება & ზარალი	2018 წ	2017წ
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	4,200,237	3,258,236
სხვა საოპერაციო შემოსავალი	4,200,237	3,258,236
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	3,244,780	2,547,730
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	3,244,780	2,547,730
საერთო მოგება	955,457	710,506
ადმინისტრაციულ ხარჯები		
შრომის ანაზღაურება	469063	378291
საიტარო ქირა	241602	196837
სხვა მარაგების ხარჯი	27266	7130
კომუნალური ხარჯები	67494	48899
კომუნიკაციის ხარჯები	2505	2044
ადმინისტრაციული ხარჯები	32760	38636
რეკლამის ხარჯები	643	2119
ბანკის საკომისიო	2369	2901
წარმომადგენლობითი ხარჯი	903	0
სხვა საერთო ხარჯები	31435	67538
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	876040	744395
სულ საოპერაციო მოგება	79417	-33889
არასაოპერაციო შემოსავალი		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	27	964
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	27	964
არასაოპერაციო ხარჯი		
საპროცენტო ხარჯი	12613	15310
არასაოპერაციო ხარჯი/ზარალი	784	1274
სულ არასაოპერაციო ხარჯები	13397	16584
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	66047	-49509

დირექტორი:



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	73,445	29,165
საგაჭრო მოთხოვნები	34,678	73,909
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		
მარაგები	409,479	387,637
- შპს პროდუქცია	409,479	387,637
- სხვა		
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	7,921	10,422
ძირითადი საშუალებები	156,404	181,940
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	681,927	683,073

ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
საგაჭრო ვალდებულებები		
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	(604,555)	(611,237)
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	(8,660)	(4,045)
საგადასახადო ვალდებულებები		(6,461)
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	(77,246)	(135,911)
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	(690,461)	(757,654)

საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	8,534	74,581
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	8,534	74,581
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	(681,927)	(683,073)

დირექტორი:

